ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 184

"26" აპრილი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, კანდელაკის ქუჩა №5-ის მიმდებარედ 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.011.013) პირდაპირი განკარგვის წესით ია რეხვიაშვილი-პინკისთვის (პ/ნ: C34PMXW2Y; 22.04.1954წ) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, კანდელაკის ქუჩა №5-ის მიმდებარედ, 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.011.013) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის №24.679.785 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა №5-ის მიმდებარედ 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.011.013) პირდაპირი განკარგვის წესით ია რეხვიაშვილი-პინკისთვის (პ/ნ. C34PMXW2Y; 22.04.1954წ) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე